

## უცხოეთში სტაჟირების კონკურსი

### საბუნებისმეტყველო საგანთა მასწავლებლებისათვის

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი (ბათუმის მასწავლებლის სახლი) აცხადებს საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო საგანთა მასწავლებლების შესარჩევ კონკურსს პოლონეთში, ვარშავის კოპერნიკის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამეცნიერო ცენტრსა (Copernicus Science Centre) და ფონდში - "სკოლა კლასთან" (School with Class Foundation) ერთკვირიანი სტაჟირებისათვის.

კონკურსის შედეგად შერჩეულ მასწავლებლებს საშუალება ექნებათ ერთი კვირის განმავლობაში დაათვალიერონ კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრისა (Copernicus Science Centre) და ფონდის - "სკოლა კლასთან" (School with Class Foundation) სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიები, ადგილზე ჩაატარონ სასკოლო ექსპერიმენტები, ასევე მოისმინონ საინტერესო მასტერ-კლასები საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ.

კონკურსის შედეგად შეირჩევა: 3 ფიზიკის, 4 ქიმიის, 4 ბიოლოგიისა და 4 ბუნებისმეტყველების პედაგოგი (I-IV და V –VI კლ.) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საჯარო სკოლებიდან. მათი სტაჟირების სრული დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებლის სახლი) მიერ.

#### ✓ კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილე:

- ✓ უნდა იყოს მოქმედი უფროსი ან წამყვანი პედაგოგი;
- ✓ კანდიდატი უნდა ასწავლიდეს შესაბამის საგანს საჯარო სკოლაში;
- ✓ სტაჟირების პროგრამის ფარგლებში პედაგოგი არ უნდა იყოს ნამყოფი აღნიშნულ კვლევით ცენტრებში.

#### შენიშვნა:

1. ბუნებისმეტყველების მიმართულებით კონკურსში მონაწილეობა ასევე შეუძლიათ განათლების დაწყებითი საფეხურის უფროსს ან წამყვან მასწავლებლებს, რომელთაც წარმატებით აქვთ ჩაბარებული 1-4 კლასების მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების ინტეგრირებული გამოცდა!!!
2. რომელიმე მიმართულებაში გამოთავისუფლებული ვაკანსია გადანაწილდება სხვა მიმართულებაში.

#### ✓ საჭირო დოკუმენტაცია:

1. CV ქართულ ენაზე

2. პირადობის მოწმობის ასლი
3. ჩატარებული გაკვეთილის გეგმა აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე (word-ის დოკუმენტი, არაუმეტეს სამი გვერდი, A4 ფორმატი, Sylfaen 11 შრიფტით, ხაზებს შორის დაშორება 1,5)
4. ჩატარებული გაკვეთილი Power Point პრეზენტაციის სახით (8-10 სლაიდი/ თხრობის ხანგრძლივობა 10 წუთი)
5. უფროსი ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. შესაბამისი საგნის მასწავლებლობის დამადასტურებელი ცნობა სამუშაო ადგილიდან.

გთხოვთ, გაკვეთილის გეგმა, PP პრეზენტაცია და ზემოჩამოთვლილი დოკუმენტაცია წარადგინოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [ajaraedufund@gmail.com](mailto:ajaraedufund@gmail.com) მასალის წარდგენის ბოლო ვადაა 2018 წლის 10 ივნისი (24.00 სთ).

#### **შენიშვნა:**

1. არასრული ინფორმაციის შემცველი განაცხადები არ განიხილება!
2. ვადების დარღვევით შემოსული განაცხადი არ განიხილება!

#### **✓ კანდიდატების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად:**

I ეტაპი: დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღება/გადარჩევა

II ეტაპი: კომისიასთან გასაუბრება, გაკვეთილის წარდგენა/პრეზენტაცია და მისი განხილვა

#### **✓ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი:**

**ლალი ლომთათიძე (დირექტორის მოადგილე)**

საკონტაქტო ტელეფონი: 599 94 04 66

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი

მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა #121